საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-27/255
27/01/2026

255-27-2-202601271325

შპს „კემჩეინ“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404598878)
დირექტორს, ბატონ გიორგი ჩიჩუას,

მის.: საქართველო, ქ. თბილისი, აბაშიძის 34, ტერმინალი
ტელ: +995 579 998 885

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის 2025 წლის 25 აგვისტოს N 2-27/3187 წერილის საპასუხოდ თქვენ მიერ 2025 წლის 21 ოქტომბრისა და 2025 წლის 25 ნოემბრის წარმოდგენილ განაცხადსა და თანდართულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკის 2025 წლის 22 დეკემბრის N 2-27/4817 წერილით მოგეთხოვათ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 13 ივნისის №94/04 ბრძანებით დამტკიცებული „ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის“ (შემდგომში - „რეგულირების წესი“) მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული და დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოდგენა ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე. ამასთან, მითითებული წერილით, რომელიც კანონით დადგენილი წესით ჩაგბარდათ 2026 წლის 3 იანვარს, ხარვეზების აღმოსაფხვრელად და დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რეგულირების წესის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, განგესაზღვრათ 1 (ერთი) კალენდარული დღე რეგულირების წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტაციაში დადგენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად და 20 (ოცი) კალენდარული დღე რეგულირების წესის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე მოთხოვნილი დოკუმენტაციის მოსაწოდებლად. გაცნობებთ, რომ რეგულირების წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოსადგენად მოცემული ვადა ამოიწურა 2026 წლის 5 იანვარს, ხოლო რეგულირების წესის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე მოთხოვნილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 23 იანვარს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეგულირების წესის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „კემჩეინ“-ს ეთქვა უარი ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციაზე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 52^5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია ვირტუალური აქტივის მომსახურების იმ პირის მიერ განხორციელება, რომელიც არ არის ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი ან საფინანსო სექტორის წარმომადგენელი, რომელსაც საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება.

წინამდებარე გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარისათვის მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ჯელაძე

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი